სემუელ ბეკეტის ტექსტების ფილოსოფიური ანალიზი

დიანა მაკალათია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფირცხალავა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დიანა მაკალათია *23.06. 2016*

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა ფოკუსირებულია სემუელ ბეკეტის შემოქმედების ფილოსოფიურ ანალიზზე. კვლევაში ძირითადად გამოყენებულია პირველადი წყაროები, მათ შორის მოგონებები, გამოქვეყნებული წერილები და წიგნები, რომლებიც გამოხატავენ ბეკეტის უნარს თავისი პერსონაჟების მეშვეობით დაგვანახოს ადამიანის ფიქიკის ყველაზე ბნელი მხარეები და სიღრმეები. წერის სტილზე დაკვირვებით, ბიოგრაფიისა და ნაწარმოებთა საფუძვლიანი წაკითხვის მეშვეობით ნაშრომში ვიკვლევ ფილოსოფიასა და ლიტერატურას შორის პარალელებს. კვლევის მიზანია თითოეულ პერსონაჟზე როგორც ისტორიული კონტექსტის ასევე ფილოსოფიური დისკურსების ჭრილში დაკვირვება. ამაში კი გვეხმარება ალან ბადიუს თეორია „ივენთის“ შესახებ, ლუდვიგ ვიტგენშტაინის „ენობრივი თამაში“, რენე დეკარტეს კარტეზიანული სისტემა და ასევე ადორნოს მსჯელობა პოსტ ჰოლოკოსტური ხელოვნების შესახებ.

ნაშრომი ასევე წარმოადგენს ანალიზს იმისა თუ როგორ განაპირობებენ სოციალური და იდეოლოგიური პროცესები განსაზღვრულ შემთხვევებში ავტორის დუმილს იმისთვის, რომ მან ჭეშმარიტება საკუთარი გზით გამოხატოს. ვიმედოვნებ, ეს ნაშრომი შესაძლებლობას მისცემს მკითხველებს ტექსტში დაფარული რთული იდეები აღმოაჩინონ და განავითარონ ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: *პოსტმოდერნიზმი, ავტორის სიკვდილი, ბინარული ოპოზიციები, დეკონსტრუქცია, ლოდინი, ჰოლოკოსტი, „ენობრივი თამაშები“, სოლიფსიზმი, სკეპტიციზმი, დუმილი.*

Abstract

This study tends to focus on analyzing of Samuel Beckett' artworks philosophically. This research draws upon mostly primary sources including memories, published letters and collection of books, which indicates Becket's ability to apprehend darkest and depths of the human psyche within his characters. Through research on this writing style, biography and a close reading of his novel…I am exploring parallels between philosophy and literature. The aim of research is to look for each of these characters in lights of their historical context as well as through philosophical discourses. For that we use Alain Badiou's theory of event, Ludwig Wittgenstein's "language-game", René Descartes's Cartesian system and also Adorno's thoughts about Post-Holocaust art.

The study also analyses how the sociological and ideological processes keep the author silent at certain stages in trying to tell the truth in his own way. It is hoped that this paper would enable the readers understand difficult ideas within texts, develop ability of analyzing and interpretation.

Key words: *postmodernism, death of author, binary opposition, deconstruction, waiting, holocaust, "language game", solipsism, skepticism, silence.*

მადლობა

სადიპლომო ნაშრომის თემატიკით დაინტერესებასა და თემის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისათვის, კონსულტაციებისა და რჩევებისათვის მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო-აკადემიურ ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ ნინო ფირცხალავას.